ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ფარგლებში ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა“ ფარგლებში 2019-2020 წლებში განხორციელებული აქტივობები

2021 წ.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ფარგლებში ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა“ ფარგლებში 2019-2020 წლებში განხორციელებული აქტივობები

გიგზავნით ინფორმაციას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ფარგლებში ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა“ ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს, რომელიც განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

2019-2020 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გამყოფ ზოლთან მდებარე 9-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ. მონაწილეობა მიიღეს გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადგილობრივი და დევნილი სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები. განემარტათ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობა, ინფორმაცია მიეწოდათ ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვის საკითხებზე. ჩანიშნულ იქნა მათ მიერ აღნიშნული საჭიროებები, რომელიც სამსახურის მიერ გათვალისწინებულ იქნა შემდგომ პროგრამებსა და პროექტებში.

შეხვედრები - „არაფერი მოქალაქეებზე მოქალაქეების გარეშე“ სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა ვიზიტი 53-ვე(მათ შორის 9-ვე გამყოფ ზოლთან მდებარე) ადმინისტრაციულ ერთეულში. მიეწოდათ ინფორმაცია მერიის მიერ სოციალური და ჯანდაცვის მოქმედ პროგრამებზე, განემარტათ მათი უფლებები. ასევე, ჩანიშნულ იქნა მოქალაქეთა, მათ შორის ქალთა და გოგონათა საჭიროებები.

მუნიციპალიტეტში მოქმედ საბჭოებსა და კომისიებში აქტიურად არიან ჩართულები გენდერული თანასწორობის, ქალთა საჭიროებების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, აქტიური ლიდერი ქალები.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს 53-ვე ადმინისტრაციულ ერთეულებში ყოველი წლის დასაწყისში, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრები, ეცნობიან პროგრამებსა და ქვეპროგრამებს დეტალურად და ურიგდებათ შესაბამისი დებულებები.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოწყვლად ქალთა ჯგუფების საჭიროებებზე კორონა ვირუსით გამოწვეულ პრობლემებთან დაკავშირებით ფონდმა ,,სოხუმმა'' ჩაატარა სწრაფი კვლევა, კვლევის შედეგები მიეწოდა მერიას, რომელზეც გაკეთდა შესაბამისი რეაგირება.

- მოქალაქეთა (ასევე, სამოქალაქო ორგანიზაციების) ინიცირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით არაერთი პროგრამა დაინერგა ბოლო წლების განმავლობაში. აღსანიშნავია, სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის ერთერთი პროგრამა - „სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება“, რომელიც

ითვალისწინებს, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციების, ასევე, ფიზიკური პირების მიერ შემოსული პროექტების თანადაფინანსებას შესაბამისი კომისიის განხილვისა და დამტკიცების საფუძველზე.

2019 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამიდან** დაფინანსდა 9 პროექტი, რომელიც წარმოადგინა სამოქალაქო სექტორმა. აქედან, გენდერულ ჭრილში და გამყოფ ზოლთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ მოქალაქეთათვის დაფინანსდა:

- ასოციაცია **„მერკური“** - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში - კრიზისული ცენტრი(5000ლარი).
- ასოციაცია **"ბჟალარა"** – „გახდი დამოუკიდებელი-მოიწყვე ცხოვრება და გაძლიერდი“, რომელიც ითვალისწინებდა მარტოხელა, ძალადობის მსხვერპლი, მარჩენალდაკარგულ ქალთა გადამზადებას საბუღალტრო-კომპიუტერულ პროგრამებში(4927 ლარი).
- საქველმოქმედო სარეაბილიტაციო ცენტრი **"თანაზიარი"** - ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვებისა და ახალგაზრდების დახმარება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში(5000ლარი)

2020 დაფინანსდა 4 პროექტი, რომლებიც წარმოადგინა სამოქალაქო სექტორმა. აქედან, გენდერულ ჭრილში დაფინანსდა:

- ასოციაცია **„მერკური“** - გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა სამეგრელოს რეგიონში(5000 ლარი)
- ასოციაცია **"ბჟალარა"** – შესაძლებლობების რეალიზაცია ბიზნეს საქმში წარმატების მისაღწევად, რომელიც ითვალისწინებს მარტოხელა, ძალადობის მსხვერპლი, მარჩენალდაკარგულ ქალთა გადამზადებას საბუღალტრო-კომპიუტერულ პროგრამებში დასაქმების პერსპექტივით(5000 ლარი).

➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა 2020 წელს მონაწილეობა მიიღო 30-მდე გენდერული თანასწორობის თემაზე ორგანიზებულ შეხვედრაში (კონფერენცია, გამოცდილების გაზიარება, ტრენინგი, პრეზენტაცია).

- ხელმძღვანელი პირებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრებსათვის ჩატარდა 2020 წლის 6 თვის და მთელი წლის გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ანგარიში.
- სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ 2020 წელს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული მუშაობის ანგარიში გამოქვეყნდა მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
- გამოიცა **სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ 2020 წელს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული მუშაობის ანგარიში** ბუკლეტის სახით და გაეგზავნათ გადაწყვეტილბეის მიმღებ პირებს, გენდერულ საბჭოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს.

➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ორი წელია ფუნქციონირებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის და ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლის“ ერთობლივი პროექტია. 2020 წელს აღნიშნული კრიზისული ცენტრის სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურებით 67-მა ძალადობის მსხვერპლმა ისარგებლა. აქედან, 28 ბენეფიციარმა (22 ქალი, 6 ბავშვი) გაიარა რამოდენიმე კვირიანი რეაბილიტაცია, ხოლო, 37 ბენეფიციარს გაეწია ინდივიდუალური კონსულტაციები ძალადობის მსხვერპლზე მორგებული სერვისების მისაღებად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია 2 წელია ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ასოციაცია „მერკურის“ მიერ დაფუძნებულ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარს(წელიწადში 5000 ლარის ოდენობით).

➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2020 წელს გაიხსნა მაღალტექნოლოგიური და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სკრინინგ ცენტრი, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება. ხორციელდება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამა; 25-70 წლის ასაკის მაღალი რისკის მქონე ქალებში; 2020 წელს ისარგებლა 483-მა ქალმა. აქედან, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებმა ქალებმა:

- **განმუხური** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 35 მოქალაქემ თანხამ შეადგინა - 9064.13 ლარი, აქედან დევნილი 8.
- **ორსანტია** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 88 მოქალაქემ თანხამ შეადგინა - 22 625.93 ლარი, აქედან დევნილი 5.
- **კოკი** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 59 მოქალაქემ თანხამ შეადგინა - 14 406.08 ლარი, აქედან დევნილი 4.
- **შამგონა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 38 მოქალაქემ თანხამ შეადგინა - 1484.04 ლარი, აქედან დევნილ 2.
- **რუხი** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 101 მოქალაქემ თანხამ შეადგინა - 27 463.81 ლარი, აქედან დევნილ 19.
- **რიყე** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 34 მოქალაქემ თანხამ შეადგინა - 13 265.19 ლარი, აქედან დევნილ 2.
- **ტყაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 19 მოქალაქემ თანხამ შეადგინა - 3660 ლარი.
- **ახალაბასთუმანი** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 53 მოქალაქემ თანხამ შეადგინა - 17 347.58 ლარი.აქედან დევნილი 7.

➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებამ არაერთი პროექტი განახორციელა, როგორც ქალთა, ასევე საზღვრისპირა სოფლის ახალგაზრდების ჩართულობით:

- ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან ერთად ორსანტიაში ჩატარდა საზღვრისპირა სოფლებს შორის შეჯიბრება მძლეოსნობაში.
- ამავე ორგანიზაციებთან ერთად საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების ვიზიტი განხორციელდა ნატოს საწვრთნელ გემებზე ფოთში.
- გოგონათა რაგბის კლუბისათვის შეძენილ იქნა სარაგბო ატრიბუტიკა.
- განხორციელდა ტენდერული პროექტი „ქალთა სივრცე“ (დაფინანსდა 6000 ლარით), აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა ქალთა სამოქალაქო აქტივობას და თანასწორობას.
- ფინანსდება ამპუტანტ ფეხბურთელთა ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია იძულებით გადაადგილებული პირებისგან.

➢ ხურჩის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეთა პრობლემაზე - სანიაღვრე არხებთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს ადგილობრივი სასაფლაოების დატბორვას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ მოახდინა შესაბამისი რეაგირება და 2020 წელს განხორციელდა სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების პროექტირება, რომლის მოწყობა დაგეგმილია მიმდინარე წელს.

გამყოფ ხაზთან მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგდა ცენტრალური და დამაკავშირებელი გზები და ხიდ-ბოგირები.

გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლები მთლიანად გაზიფიცირებულია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მოგვარებულია გარე განათების სისტემა, ცენტრალური წყალმომარაგება მოწყობილია განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, დანარჩენ სოფლებში ლოკალური ჭაბურღიების მეშვეობით. 9-ვე სოფელში დადის ახალი ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. გარემონტდა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები. მიმდინარე წელს იგეგმება რუხისა და შამგონის ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღების მშენებლობა.

➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია 2019 წელს ახორციელებდა პედაგოგთა მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამას, ხოლო 2020 წლიდან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა პედაგოგისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა არის უფასო.

რამოდენიმე წელია ხორციელდება ხურჩის მოსახლეობისათვის ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის თანადაფინანსება, რომლის მოსარგებლე არის დევნილი და გამყოფ ხაზთან მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობა.

➢ განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილთა ოჯახებისათვის ხორციელდება სოციალური დაცვის პროგრამა დევნილთა მხარდაჭერა, რომელიც ითვალისწინებს ფულად დახმარებას. 2019 წელს ისარგებლა-258 დევნილმა, ხოლო, 2020 წელს - 319-მა დევნილმა. იძულებით გადაადგილებული პირები სარგებლობენ ყველა იმ მუნიციპალიური სოციალური დაცვის პროგრამებით, რომელიც არ გააჩნიათ დევნილთა შესაბამის

სამსახურებს. ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის ყველა პროგრამა ხელმისაწვდომია დევნილი მოსახლეობისათვის.

გამყოფ ხაზთან მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში 2015-2020 წელს აშენებული სოციალური სახლები

N	ადმინისტრაციული ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი
1	ახალაბასთუმანი	1	2	1		1	1	**6**
2	განმუხური			1	1		1	**3**
3	კოკი		3	1	1	1		**6**
4	ორსანტია		1	1	1	1	1	**5**
5	რიყე		2	1				**3**
6	რუხი						1	**1**
7	ტყაია			1	1			**2**
8	შამგონა				1	1		**2**
9	ხურჩა					1		**1**
ჯამი		**1**	**8**	**6**	**5**	**5**	**4**	**29**

გამყოფ ხაზთან მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელების თაობაზე.

N	ადმინისტრაციული ერთეული	შობა-ახალი წლისა და აღდგომის დრესასწაულთან დაკავშირებით მოწყვლად ჯგუფებზე გაცემული სასურსათო პაკეტი (წელიწადში 2ჯერ)	ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახებისათვის გაცემული სასურსათო პაკეტი	ფერმერი ქალების გადამზადება და მათი ტექნიკითა და ინვენტარით უზრუნველყოფა ფერმერ ქალთა ასოციაცია
1	ახალაბასთუმანი	5	10	3
2	განმუხური	8	8	6
3	კოკი	5	8	4
4	ორსანტია	3	10	5
5	რიყე	7	10	9
6	რუხი	4	15	1
7	ტყაია	1	6	0
8	შამგონა	3	10	1
9	ხურჩა	0	6	0
ჯამი		**36**	**83**	**29**

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი, გენდერული თანაწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი - **გოგი რევია;***

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - **თამარ ჩიქავა.***